2022 წლის პირველ ოქტომბერს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები

კენჭისყრა იმართება 08:00-დან 20:00-საათამდე

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

2022 წლის 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის სენაკის №64.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა ელექტრონული საშუალებით განხორციელდება.

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებით და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ არ წარადგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს.

ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის მითითებით მიდით ნებისმიერ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

რეგისტრატორი ამომრჩევლის პირადობის ელექტრონულ მოწმობას გაატარებს ვერიფიკაციის აპარატის MRZ წამკითხველში.

თუ პირადობის მოწმობა არაელექტრონულია, ან წარადგინეთ საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რეგისტრატორი თქვენს მონაცემებს ვერიფიკაციის აპარატში შეიყვანს ხელით.

ხელი მოაწერეთ ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილ ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარს.

რეგისტრატორისგან მიიღეთ საარჩევნო ბიულეტენი და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი.

გადმოცემულ საარჩევნო ბიულეტენზე, რეგისტრატორის მითითებით, სპეციალური მარკერით გააფერადეთ საცდელი წრე.

უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს სპეციალური ჩარჩო-ფორმა.

მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს გამადიდებელი ლინზა.

ყრუ ამომრჩეველს ხმის მიცემის პროცედურაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

ფარული კენჭისყრის კაბინაში, სპეციალური მარკერით საარჩევნო ბიულეტენში გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში.

საარჩევნო ყუთისა და აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრი, საჭიროების შემთხვევაში, გაგიწევთ დახმარებას ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ხმის ელექტრონულ მთვლელ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცესში.

მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი აღმოჩნდება საარჩევნო ყუთში, დადეთ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე და დატოვეთ საარჩევნო უბანი.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი